სერგი ადამია
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, თსუ
adamosergi@gmail.com

მერი სტიუარტი და კირკ ო'ფილდის ინციდენტი

საკვანძო სიტყვები: მერი სტიუარტი, ლორდი დარნლი, გრაფი ბოსველი, ელიზაბეთ I, შოტლანდია, ინგლისი, კირკ ო'ფილდი, ჯეიმს ბალფური, უილიამ სესილი, რობერტ დადლი, ლორდი მორი, ინციდენტი, მკვლელობა

Keywords: Mary Stuart, Lord Darnley, Earl of Boswell, Elizabeth I, Scotland, England, Kirk O'Field, James Balfour, William Cecil, Robert Dudley, Lord Morey, incident, murder

1567 წლის 10 თებერვლის კირკ ო'ფილდის ინციდენტი ერთ-ერთი ყველაზე მისტიკური და საიდუმლოებით მოცული შემთხვევაა არა მარტო ახალ, არამედ მსოფლიო ისტორიაში. ამ დღეს კირკ ო'ფილდის ეკლესიის მიმდებარედ აფეთქდა რამდენიმე სახლი დენთის წამლით, რასაც შეეწირა შოტლანდიის დედოფლის მერი სტიუარტის (1542-1587) მეორე ქმარი ჰენრი სტიუარტი, ისტორიაში ცნობილი, როგორც ლორდი დარნლი (1546-1567).

მერი სტიუარტის მმართველობა შოტლანდიაში გამოირჩეოდა სამეფო კარზე შიდა დაპირისპირებებით, მკვლელობებით და ინტრიგებით. კათოლიკე მერის თავისი კონტრრეფორმაციული პოლიტიკის გამო უამრავი არისტოკრატი უჯანყდებოდა. სამეფო კარის ინტრიგებში აქტიურად ჩაერთო დედოფლის ქმარი ლორდი დარნლიც, მთელ რიგ შემთხვევებში საკუთარი მეუღლის წინააღმდეგაც.

დარნლის საეჭვო ვითარებაში სიკვდილის შემდეგ ცხადია წარმოიშვა უამრავი მოსაზრება, ვარაუდი თუ კონსპირაციული თეორია. ზოგი ამას უბრალო უბედურ შემთხვევად თვლიდა, თუმცა ჯერ კიდევ თანამედროვეთა უმრავლესობისთვის ეს იყო კარგად დაგეგმილი მკვლელობა. ყველაზე გავრცელებული ვერსიით კი დარნლის მკვლელობის ორგანიზატორი იყო მისი მოწინააღმდეგე გავლენიანი არისტოკრატი ჯეიმს ჰეპბერნი, ისტორიაში ცნობილი, როგორც გრაფი ბოსველი (1534-1578). დარნლის სიკვდილიდან რამდენიმე თვეში კი ბოსველზე იქორწინა მერი სტიუარტმა, ამიტომაც ბევრმა ჩათვალა, რომ მათ ერთად მოიშორეს დარნლი, რათა დაქორწინებულიყვნენ. თვითონ ბოსველი სასამართლოზე გაამართლეს, თუმცა სამაგიეროდ შემდგომ სიკვდილით დასაჯეს მისი 6 მსახური მკვლელობის ბრალდებით, ამიტომაც ბოსველის ბრალეულობაზე და მერი სტიუარტის ქმრის მკვლელობაში მონაწილეობაზე მითქმა-მოთქმა და განხილვა არასდროს შეწყვეტილა.

სტატიაში შევეცდებით დეტალურად გამოვიკვლიოთ მერი სტიუარტის ურთიერთობა ლორდ დარნლისთან და მისი ცვლილება დროთა განმავლობა-

ში. ასევე გამოვკვეთოთ ის ფაქტორები, რასაც შეიძლებოდა გამოეწვია მერის თანამონაწილეობა ქმრის მკვლელობაში და ასევე ის მიზეზები თუ სამხილები, რის გამოც მერის ბრალს სდებენ მკვლელობაში მონაწილეობაში.

ლორდ დარნლისთან ქორწინება

1561 წლის აგვისტოში, მერი სტიუარტი შოტლანდიაში დაბრუნდა, მას შემდეგ, რაც მისი მეუღლე და საფრანგეთის მეფე ფრანსუა II (1559-1560) გარდაიცვალა. დაბრუნებისთანავე მერის უმთავრესი საზრუნავი გახდა მეორედ დაქორწინების საკითხი. თავდაპირველად, მან ისევ სცადა ძლიერ კათოლიკურ იმპერიებთან საქორწინო კავშირი: ესპანეთის ტახტის მემკვიდრე დონ კარლოსთან ქორწინება ეკატერინე მედიჩის (1519-1589) ჩარევისა და ესპანეთის მეფე ფილიპე II-ის (1556-1598) უარის გამო არ გამოვიდა. მისმა ბიძამ და ლორენის ეპისკოპოსმა შარლ დე გიზმა კი სცადა მერის დანიშვნა ავსტრიის ერცჰერცოგ კარლზე. ისტორიკოს ანტონია ფრეიზერს კი მერის უარის 2 საფუძვლიანი და ლოგიკური მიზეზი მოჰყავს: მერი გაბრაზდა, რომ ბიძამისმა საქორწილო მოლაპარაკებები წამოიწყო მისი ნებართვის გარეშე. ასევე კარლი დონ კარლოსისგან განსხვავებით ტახტის მემკვიდრედ არ ითვლებოდა. საღვთო რომის იმპერატორად მამამის ფერდინანდ I-ის (1556-1564) მემკვიდრედ კურფიურსტები მიიჩნევდნენ კარლის უფროს ძმას მაქსიმილიანს.[1] შესაბამისად, მერი კარლთან ქორწინებით ვერ მიიღებდა გავლენებს და ჯარს, განსხვავებით დონ კარლოსთან ქორწინებისგან (Fraser 1984: 242-244).

მერის რომელიმე კათოლიკურ იმპერიასთან, განსაკუთრებით კი ესპანეთთან საქორწინო კავშირი საფრთხის შემცველი იყო ინგლისისთვის, რადგან ინგლისს თავის საზღვრებთან გაუჩნდებოდა ესპანური გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფო. ინგლისი კი იმ პერიოდში ესპანეთთან დაპირისპირებულ მხარეს წარმოადგენდა. ამიტომაც, მერის ქორწინების საქმეში აქტიურად ჩაერთო ელიზაბეთ I. როგორც წყაროებიდან ვიგებთ, 1562 წლის მიწურულს, ელიზაბეთმა თავისი ელჩი თომას რენდოლფი გააგზავნა მერისთან და მას საქმროდ შესთავაზა ლესტერის გრაფი რობერტ დადლი, დედოფლის ერთგული მსახური და პიკანტური ჭორების მიხედვით, საყვარელიც. დადლისთან ქორწინების სანაცვლოდ კი ელიზაბეთი ჰპირდებოდა მერის, რომ საკუთარ მემკვიდრედ დაასახელებდა, როგორც ჰენრი VII-ის კანონიერ შვილთაშვილს[2] (Rennie 2010: 114). მერიმ ამ შემოთავაზებაზე უარი განაცხადა, რადგან მას ჯერ კიდევ ჰქონდა ესპანური საქორწინო კავშირის გაჩარხვის იმედი (Fraser 1984: 245). ასევე უნდა ვივარაუდოთ, რომ მერიმ თავიდან აიცილა ელიზაბეთის ჩანაფიქრის განხორციელება: დადლისთან ქორწინება შოტლანდიის სამეფო კარზე ელიზაბეთის გავლენას გაზრდიდა. ამ საკითხს კი ვერც ტახტის მემკვიდრედ დასახელება

[1] საღვთო რომის იმპერატორი მაქსიმილიან II (1564-1576).

[2] ჰენრი VII (1485-1509) – ინგლისის მეფე და მერი სტიუარტის დიდი ბაბუა. მან 1503 წელს თავისი ქალიშვილი მარგარეთ თიუდორი მიათხოვა შოტლანდიის მეფე ჯეიმს IV-ს (1488-1513).

დააკომპენსირებდა, რადგან ელიზაბეთს ნებისმიერ დროს შეეძლო დაქორწინება და მემკვიდრე ვაჟის გაჩენა. ამ შემთხვევაში კი მერი ყველანაირად წაგებული დარჩებოდა.

რაც შეეხება ლორდ დარნლისთან ქორწინებას: გრაფ და გრაფინია ლენოქსებმა, დარნლის მშობლებმა, ელიზაბეთთან დაპირისპირების გამო თავისი ვაჟი საფრანგეთში გააგზავნეს 1561 წლის დასაწყისში. ელიზაბეთმა ამას ხელი ვერ შეუშალა, რადგან ოფიციალური მიზეზი მერისთვის სამძიმრის თქმა იყო ქმრის გარდაცვალების გამო (Fraser 1984: 136-137). თუმცა სინამდვილეში ლენოქსები იმედოვნებდნენ, რომ მათი ახალგაზრდა ვაჟი შეძლებდა გასათხოვარი მერის მოხიბვლას და მასზე დაქორწინებას. თუმცა, მერის იმ დროს იმედი ჰქონდა, რომ შეძლებდა რომელიმე კათოლიკე მონარქის ვაჟზე ქორწინების გაჩარხვას და შესაბამისად, დარნლისთვის დიდი ყურადღება არც მიუქცევია.

1565 წლის 19 თებერვალს ინგლისის ელჩი თომას რენდოლფი რობერტ დადლისთან და უილიამ სესილთან მიმოწერაში ჰყვებოდა 17 თებერვალს ვიმზის ციხესიმაგრეში მერი სტიუარტთან შეხვედრის ამბავს. რენდოლფთან ერთად შეხვედრაზე იმყოფებოდა დარნლიც, რომლის მიმართაც რენდოლფის თქმით დედოფალმა დიდი ყურადღება გამოიჩინა (განსხვავებით ზემოხსენებული მათი პირველი შეხვედრისგან), მის მიმართ გულგრილობა კი არც დარნლის გამოუჩენია (Bain 1900: 125-126).

იმ დღის შემდგომ მერის თავდავიწყებით შეჰყვარებია „მაღალი ყმაწვილი“, როგორც ლორდ დარნლის ელიზაბეთ I უწოდებდა. საბოლოოდ კი ისინი 1565 წლის 29 ივლისს ჰოლირუდის სასახლეში დაქორწინდნენ. მანამდე კი მერი ავად გამხდარ დარნლის რამდენიმე კვირის მანძილზე უვლიდა და გვერდიდან არ შორდებოდა. სწორედ აქედან დაიწყო მათი ურთიერთობა, რაც დარნლის გამოჯანმრთელებისთანავე ქორწინებით დასრულდა (Fraser 1984: 254).

მერის მხარი დაუჭირეს ესპანეთის მეფე ფილიპე II-მ და რომის პაპმა პიუს IV-მ (1559-1565), რომელმაც მერის და დარნლის ქორწინება კანონიერად ცნო, მათი ნათესაური კავშირის მიუხედავად (Weir 2009: 92-96). კათოლიკური ქვეყნების და პაპის მხრიდან ქორწინების მხარდაჭერა, შემთხვევითი სულაც არ იყო და ელიზაბეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებას ისახავდა მიზნად.

ერთი შეხედვითაც მარტივად ჩანს თუ რამხელა საფრთხეს შეიცავდა ელიზაბეთისთვის ახალი საქორწინო კავშირი – ჰენრი VII-ის ორი შთამომავლის ქორწინება და რაც მთავარია შემდგომ მათი მემკვიდრეები უდიდესი საფრთხე იქნებოდნენ ელიზაბეთისთვის და მისი მემკვიდრეების ლეგიტიმაციისთვის. ელიზაბეთი კათოლიკური სამყაროსთვის ისედაც უკანონოდ შობილად და უზურპატორად ითვლებოდა. ლოგიკური ვარაუდის გარდა, სხვადასხვა წყაროებიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ელიზაბეთი ქორწინების წინააღმდეგი იყო და მას საკუთარი ლეგიტიმაციისთვის საფრთხედ აღიქვამდა. ეს ჩანს თუნდაც, ელჩ თომას რენდოლფის ჩანაწერებშიც. თუმცა, თავად რენდოლფი დედოფლის ამ შიშს არ იზიარებდა და თვლიდა, რომ „ლორდი დარნლი ყველაზე უღირსი ვარიანტი იყო მერისთვის“ (Weir 2009: 77-78) და ეს ქორწინება მერის ინგლისის ტახტის მოპოვების შანსებს უფრო შეამცირებდა ვიდრე გაზრდიდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ რენდოლფი სრულიად მართალი იყო და ყველაფერი ზუსტად ისე მოხდა, როგორც მან ივარაუდა.

ასევე საინტერესოა, ინგლისელი ელჩის ნიკოლას თროქმორტონის ჩანაწერებიც, რომელიც ელიზაბეთმა სპეციალურად გააგზავნა შოტლანდიაში ქორწინების ჩასაშლელად, თუმცა ელჩს სამეფო კარზე უცერემონიოდ მოექცნენ და აუდიენციაც არ გაუმართეს. თროქმორტონი წერდა, რომ მერი მოჯადოებული იყო დარნლით და ქორწინების ჩაშლა მხოლოდ სამხედრო ძალით იქნებოდა შესაძლებელი (Bingham 1995: 99-100).

ასევე ელჩის ჩანაწერებში ჩანს, რომ ელიზაბეთს ქორწინების ჩასაშლელად მოუთხოვია დარნლის და მისი მშობლების ინგლისში დაბრუნება, რადგან ისინი ინგლისის მონარქის ქვეშევრდომები იყვნენ (Bingham 1995: 98), თუმცა მერის მხარდაჭერით ისინი შოტლანდიაში დარჩნენ და ელიზაბეთის მცდელობა კრახით დასრულდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ელიზაბეთის უახლოესი მრჩევლები: ლორდ-კანცლერი უილიამ სესილი და ლესტერის გრაფი რობერტ დადლი ემხრობოდნენ მერი სტიუარტის და დარნლის ქორწინებას და დარნლის შოტლანდიაში წასვლის ნებართვა სწორედ მათ მისცეს, რაც დასტურდება ელჩ თომას რენდოლფის და უილიამ სესილის 1565 წლის 12 თებერვლის მიმოწერით (Bain 1900: 124). ამ პიროვნებების ელიზაბეთისადმი ერთგულება საეჭვო ნამდვილად არ არის, ამიტომაც ჩემი აზრით, სრულიად საფუძვლიანია ანტონია ფრეიზერის ვარაუდი, რომლის თანახმადაც დარნლი იყო მერი სტიუარტის სამეფო კარზე შეგზავნილი „ტროას ცხენი“, რომელიც იქ ელიზაბეთის ინტერესების გასატარებლად გააგზავნეს მისმა ერთგულმა მრჩევლებმა, რათა მას აერია მერის ურთიერთობა შოტლანდიელ ლორდებთან. ამ გეგმის შესახებ კი თავიდან დედოფალმაც კი არ იცოდა და სწორედ ამ გეგმის შესახებ ინფორმაციის მიღებას უკავშირებს ფრეიზერი იმ ფაქტს, რომ ელიზაბეთი თავდაპირველი მცდელობების შემდგომ ქორწინების წინააღმდეგ აღარ წასულა (Fraser 1984: 253). დარნლისთან ქორწინებით გამოწვეულ მკვეთრად უარყოფით შედეგებს კი მერი ქორწინებისთანავე შეეჩეხა.

პოლიტიკური კრიზისი შოტლანდიაში და დარნლისთან ურთიერთობის ცვლილება

კათოლიკე ინგლისელ ლორდთან მერის ქორწინებამ გამოიწვია პროტესტანტი შოტლანდიელი ლორდების აჯანყების დაწყება 1565 წლის 26 აგვისტოს, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ მერის უკანონო ნახევარძმა გრაფი მორი, გრაფი არჯილი და გრაფი გლენქერნი. ეს აჯანყება ისტორიაში “chaseabout raid“-ის სახელით არის ცნობილი. აჯანყებულებმა აგვისტოს ბოლოს სცადეს ედინბურგის აღება თუმცა ვერ შეძლეს. ამასობაში კი მერი სტიუარტმა შეძლო მათზე ბევრად მრავალრიცხოვანი არმიის შეკრება და აჯანყებულები ინგლისში გაიქცნენ, მერიმ კი საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად ქვეყანაში დააბრუნა დევნილი არისტოკრატები გრაფი ბოსველი და მის მიერ სიკვდილით დასჯილი გრაფი ჰანტლის ვაჟი (Wormald 2001: 154) შოტლანდიაში შექმნილი სიტუაციით კმაყოფილებას გამოხატავდნენ უილიამ სესილი და თომას რენდოლფი ერთ-

მანეთთან მიმოწერაში (Ellis 1825: 205-207; Ellis 1827: 298-299). ინგლისის სამეფოს მცირე საბჭოს ჩანაწერებში ჩანს, რომ ელიზაბეთს აჯანყებულებისთვის საჯაროდ მხარი არ დაუჭერია და ისევ მერის ქვეშევრდომობაში დაბრუნებისკენ უბიძგა (Bain 1900: 227-228). ელიზაბეთმა ყველაფერი გააკეთა მერის დასარწმუნებლად, რომ აჯანყებულებისადმი არანაირი დახმარება არ აღმოუჩენია. ეს დასტურდებოდა 1565 წლის 25 და 29 ოქტომბერს მერისადმი მიწერილ წერილებშიც და იმავე დღეებში ინგლისელი ელჩებისადმი მიწერილ წერილებშიც, სადაც ის ავალებდა მათ მერი დაერწმუნებინათ მის სიტყვებში (Bain 1900 : 229-230). მის ამ ქმედებას ორი მიზეზი უნდა ჰქონოდა: როგორც მონარქისთვის მომგებიანი არ იქნებოდა სხვა მონარქის წინააღმდეგ ქვეშევრდომთა ამბოხის საჯარო წახალისება, რადგან ამას შეეძლო წაეხალისებინა აჯანყებები თვითონ ელიზაბეთის წინააღმდეგ ინგლისში. ასევე მისთვის უფრო მომგებიანი იყო მერის მოწინააღმდეგე ლორდების ყოფნა შოტლანდიაში ვიდრე ინგლისში. ელიზაბეთის მიზნებში ისიც არ შედიოდა, რომ მერი კიდევ უფრო დაახლოებოდა ესპანეთს და საფრანგეთს ინგლისური საფრთხისგან და შიდა აჯანყებებისგან თავის დასაცავად. მისთვის მერის დარნლისთან ქორწინებას ჯერჯერობით, მხოლოდ დადებითი შედეგები მოჰქონდა, რაც ერთგვარი „განხეთქილების ვაშლი“ აღმოჩნდა მათ ქორწინებაში.

მერის და დარნლის ურთიერთობის გაფუჭება კი დაიწყო მას შემდეგ, რაც დარნლიმ თავისი ნამდვილი სახე გამოაჩინა, ის ხშირად მიდიოდა სანადიროდ, მერის ყურადღებას არ აქცევდა და ასევე ჰყავდა უამრავი საყვარელი, ხშირად სტუმრობდა ტავერნებს და მერის ერთ-ერთი სეფექალი დააორსულა კიდეც, როგორც ამას იტალიელი ელჩი პიეტრო ბიზარი წერდა. ასევე დარნლი გახდა ამპარტავანი და ქედმაღალი. ხშირად ამბობდა, რომ სუსტ ქალს არ შეეძლო ქვეყნის მართვა და მერისგან მოითხოვდა თანამმართველად დანიშვნას, რაც მას საშუალებას მისცემდა მერის თანასწორი გამხდარიყო და მისი სიკვდილის შემთხვევაში შოტლანდიის ტახტი დაესაკუთრებინა, რაზეც მერიმ უარი განუცხადა (Weir 2009: 98-99).

1565 წლის ოქტომბერში მერი დაორსულდა, თუმცა სამეფო კარზე დადიოდა პიკანტური ჭორები, რომ მერი დაორსულდა არა ლორდ დარნლისგან, არამედ თავისი იტალიელი საყვარლისგან დევიდ რიციოსგან, რომელზეც დარნლი ყოველთვის ეჭვიანობდა (Weir 2009: 91).

რიციოზე ეჭვიანობის გამო კი დარნლი ჩაერთო მის მოსაკლავად მოწყობილ შეთქმულებაში, რომლის ინიციატორებიც და ორგანიზატორებიც მერის მოწინააღმდეგე პროტესტანტი ლორდები იყვნენ. შეთქმულებაზე იცოდნენ უილიამ სესილმა და რობერტ დადლიმაც და რენდოლფთან მიმოწერაში აღნიშნავდნენ, რომ მერისთვის ერთგული ხალხის ჩამოშორება, მის ინგლისის ტახტისადმი ამბიციებს დაასამარებდა (Guy 2004: 236). საბოლოოდ გამოიკვეთა შოტლანდიის დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულებების ფართო სქემა, რომლის მიზანიც იყო მისი დასუსტება ერთგული ხალხის ჩამოშორებით. ამ სქემაში კი აქტიურ როლს თამაშობდა დარნლი, რაც კიდევ უფრო გვაფიქრებინებს, რომ რიციოსადმი მისი მტრობა გამომდინარეობდა არა მერიზე ეჭვიანობით

(ის მერის ყურადღებას საერთოდ არ აქცევდა და ხშირად ღალატობდა) არამედ იმ „ტროას ცხენის“ როლიდან, რომელიც მას სესილმა და დადლიმ დააკისრეს.

1566 წლის 9 მარტს, ჰოლირუდის სასახლეში, მერი შეხვდა მის წინააღმდეგ აჯანყებაში მონაწილე ლორდებს. დედოფალი გეგმავდა მათთვის წოდებების და ქონების ჩამორთმევას, თუმცა დარნლის მხარდაჭერამ ლორდებს მისცა საშუალება მერისთან საკმაოდ ხისტად ესაუბრათ და მათი აჯანყების მთავარ მიზეზად თვითონ დედოფლის ანტიპროტესტანტული პოლიტიკა დაესახელებინათ. თვითონ დარნლი კი მერის უბიძგებდა შეენდო ლორდებისთვის და ისინი აღედგინა თავის მცირე საბჭოში. მოულოდნელად, შეკრების დარბაზთან ჯარისკაცებმა იწყეს თავმოყრა. შეხვედრაზე დაგვიანებულმა კათოლიკე ლორდებმა გრაფმა ბოსველმა და გრაფმა ჰანტლმა საფრთხე იგრძნეს და სასახლიდან გაიქცნენ. ჯარისკაცების მოსვლასთან ერთად შექმნილი არეულობით ისარგებლა დარნლიმ და თავისი ხანჯლით რიციო საკუთარი ორსული მეუღლის თვალწინ მოკლა. პარალიზებული მერი რამდენიმე საათის მანძილზე სრულ პანიკაში იყო და კინაღამ მუცელიც მოეშალა. დილით კი დარნლიმ რიციოს სიკვდილში თავად მერი დაადანაშაულა, რომელიც დარნლის აეჭვიანებდა (Guy 2004: 239-242).

მორალურად განადგურებული მერის დათანხმება ლორდების შეწყალების თაობაზე დარნლის აღარ გასჭირვებია და 10 მარტის შუადღეს მერიმ ხელი მოაწერა მათი შეწყალების აქტს. თუმცა მას შემდეგ, რაც პროტესტანტ ლორდებს, განსაკუთრებით კი მის ნახევარძმა მორის, გაუჩნდათ დამატებით პრეტენზიები, მერიმ დაგეგმა გრაფ ბოსველის დახმარებით ჰოლირუდის სასახლიდან გაქცევა. 11 მარტის საღამოს მან დაათრო დარნლი და 12 მარტის შუაღამეს სასახლიდან გაიქცა დანბარის სასახლეში, 18 მარტს კი დარნლისთან ერთად დაბრუნდა ედინბურგში. 9-18 მარტის მოვლენები ელჩმა რენდოლფმა დეტალურად აღწერა სხვადასხვა თვითმხილველის მონათხრობებიდან გამომდინარე 26 მარტით დათარიღებულ წერილში, რომელიც მან ელიზაბეთის მცირე საბჭოს მისწერა (Ellis 1825: 207-222) ამ წერილში, ნათლად იკვეთება ინგლისის სამეფო კარის მძლავრი დაინტერესება ჰოლირუდის სასახლეში განვითარებული მოვლენებით.

იმის მიუხედავად, რომ მერის მოუწია მორის, გლენქარნის და არჯილის მცირე საბჭოში დაბრუნება, მან ამ ეტაპზე მაინც შეძლო პროტესტანტი ლორდების დამატებითი პრეტენზიების მოთოკვა თავის უსაფრთხო ნავსაყუდელ ედინბურგში დაბრუნებით. რაც მთავარია, ამ დროიდან მოყოლებული ის მიხვდა, რომ დარნლისთან ქორწინებამ მას ქვეყანაში შიდა არეულობისა და მისი ძალაუფლების დაკნინების მეტი არაფერი მოუტანა. ვინ იცის, იქნება მერი იმასაც მიხვდა, რომ დარნლი წმინდად „ინგლისური პროექტი“ იყო მისი სამეფო ხელისუფლების დასაკნინებლად, მაგრამ ამის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია.

ფაქტია, რომ რიციოს მკვლელობამ მერის და დარნლის ქორწინებას საბოლოო დარტყმა მიაყენა და მათი ქორწინება ფიქციური გახდა. ეს კი ვერც 1566 წლის 19 ივნისს მათი ვაჟის ჯეიმსის დაბადებამ შეცვალა. ცოლ-ქმარი ერთმა-

ნეთს თითქმის არ ნახულობდა და მათ ცალ-ცალკე ეძინათ (Fraser 1984: 298-299). ელჩი რენდოლფი კი 1566 წლის მაისის წერილებში ელიზაბეთს ატყობინებდა, რომ 25 აპრილს მერიმ რომში წერილი გააგზავნა პაპ პიუს V-თან მისი ქორწინების ანულირების თხოვნით, თუმცა რამდენიმე დღეში თხოვნა უკან წაიღო, რადგან ქორწინების გაუქმების შემთხვევაში მისი შვილი უკანონოდ შობილად ჩაითვლებოდა. 12 მაისს რენდოლფი ელიზაბეთს ატყობინებდა, რომ მერის დარნლი იმდენად შესძულდა, რომ ედინბურგიდან საკმაოდ ხშირად გადიოდა ქმარს რომ მოშორებოდა (Weir 2009: 143-149).

15 ოქტომბერს მერი ქალაქ ჯედბურგიდან 4 საათის სავალ გზაზე წავიდა ჰერმითეიჯის სასახლეში, სადაც დაჭრილ გრაფ ბოსველს მკურნალობდნენ, შოტლანდიის საზღვრებთან მთიელ პარტიზანებთან შეტაკების შემდგომ. სამეფო კარზე ამ ფაქტს ცხადია მოჰყვა მერის და ბოსველის რომანზე ჭორები, თუმცა ლორდ მორის ჩანაწერებში ჩანს, რომ მერი მხოლოდ 2 საათი იჯდა ბოსველის საწოლთან უამრავი ლორდის დასანახად და ბოსველთან მარტო ერთი წამითაც არ დარჩენილა (Weir 2009: 180). მორი არ ადასტურებდა მერისა და ბოსველის რომანზე ჭორებს თუმცა ფაქტი იყო, რომ ბოსველი უკვე როგორც მინიმუმ მერის მოკავშირე იყო. თუმცა მერისგან ეს მაინცდამაინც ჭკვიანური ნაბიჯი არ იყო, რადგან უამრავი წყაროს მტკიცებით ბოსველი კათოლიკე და პროტესტანტ ლორდებსაც ერთნაირად სძულდათ (Weir 2009: 165).

მერის და დარნლის ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა 1566 წლის ნოემბერში, როდესაც მერის ხელში ჩაუვარდა წერილები, სადაც დარნლი მას პიუს V-თან, ფილიპე II-თან და საფრანგეთის მეფე შარლ IX-თან ბრალს სდებდა უფუნქციობაში და უუნარობაში, როგორც სახელმწიფოს მართვის, ასევე შოტლანდიაში კათოლიციზმის დაწინაურების საკითხში. დარნლი ასევე საეჭვოდ ამჟღავნებდა სხვადასხვა ევროპელ მონარქებთან სტუმრობის სურვილს (Wormald 2001: 163), რამაც მერი საბოლოოდ დაარწმუნა მისი მოშორების აუცილებლობაში.მერი შეხვდა თავის ერთგულ ლორდებს ედინბურგთან ახლოს ქრეიგმილარის სასახლეში, სადაც მთავარი განსახილველი სწორედ დარნლის საკითხი იყო. ყველაზე აქტიურად განიხილებოდა დარნლისთან ქორწინების ანულირების ვარიანტი. თუმცა, ასევე გავრცელებული ვერსიაა, რომ სწორედ ამ შეკრებაზე დაიგეგმა დარნლის მკვლელობა, რასაც შემდგომ ამ შეკრებაზე დამსწრე ლორდი მორი უარყოფდა (Wormald 2001: 163), თუმცა დარნლის მკვლელობის შემდეგ გამართულ ერთ-ერთ სასამართლოზე სამხილად მოიტანეს ბოსველის ერთ-ერთ უახლოესი მსახურის ჯეიმს ორმისტონის სიკვდილისწინა აღსარება, რომლის თანახმად დარნლის მკვლელობით მოშორება სწორედ ამ შეკრებაზე დაიგეგმა, მიზეზად კი სულელი და თავში ავარდნილი ტირანისგან შოტლანდიის ხსნა სახელდებოდა. მერის გადაწყვეტილებით კი დარნლის მკვლელი ყველანაირად უნდა დაეცვათ და არ უნდა დასჯილიყო (Pitcairn 1833: 47; Fraser 1984: 322). ლორდი მორტონი წლების შემდგომ წერდა, რომ ბოსველმა შესთავაზა ლორდებს დარნლის მკვლელობა, ასევე გამოთქმულია მოსაზრება, რომ დარნლის მკვლელობის ინიციატორები ლორდი მორი და ლორდი მეიტლენდი იყვნენ და მათ ბოსველის თანხმობა გამოიყენეს იმისთვის, რომ ის

„განტევების ვაცად“ ექციათ თვითონ დედოფალ მერისთან ერთად და ორივე თავიდან მოეშორებინათ (Weir 2009: 195-198) დარნლის მკვლელობის შემდგომ ყველაფერი მართლაც ასე მოხდა, თუმცა რამდენად იყო ეს ყველაფერი დაგეგმილი ძნელი სათქმელია.

შეკრებაზე ასევე განიხილეს დარნლის მოღალატედ გამოცხადების და სიკვდილით დასჯის ვარიანტიც თუმცა ამის წინააღმდეგ თვითონ მერი წავიდა რამდენიმე მიზეზის გამო: დარნლი ფაქტობრივად შოტლანდიის მეფედ ითვლებოდა. მონარქი კი გასამართლებას არ ექვემდებარება. ასევე მერი ფიქრობდა თავისი შვილის რეპუტაციაზეც და არ სურდა მისი ნათლობის წინ უცხოელი ელჩების ჩამოსვლისთვის მამამისის მოღალატედ გამოცხადება (Weir 2009: 196-197) და მისთვის „მოღალატის ვაჟის“ იარლიყის მიწებება.

17 დეკემბერს სტირლინგის ციხე-სიმაგრეში ჩვილი ჯეიმსის ნათლობამ საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა, რამაც კიდევ უფრო ნათლად გამოკვეთა შოტლანდიის სამეფო კარზე არსებული კრიზისი: დარნლი არ დაესწრო შვილის ნათლობას, რადგან ეშინოდა მის წინააღმდეგ მოწყობილი სავარაუდო შეთქმულების, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მერიმ მას უცხოელ ელჩებთან შეხვედრა აუკრძალა. თვითონ მერიმაც საკუთარი უსაფრთხოებისთვის ციხესიმაგრეში არისტოკრატიის იარაღით შემოშვება აკრძალა, ბოსველმა კი დარნლის ოჯახის-ლენოქსების ჯარისკაცების შიშით საკუთარ ოთახს გაძლიერებული დაცვა დაუყენა (Weir 2009: 207-209).

შვილის ნათლობის შემდგომ დარნლი გაემგზავრა გლაზგოში მამამისის მამულში. რამდენიმე კვირა დარნლის სიცხეები და გულისრევა აწუხებდა, რასაც ის მიაწერდა მტრების მიერ მის მოწამვლას. მისი გამოჯანმრთელების შემდგომ კი გლაზგოში დაირხა ხმები, რომ დარნლი აპირებდა საკუთარი მომხრეების და „გარეშე ძალის“ დახმარებით მერის ტახტიდან ჩამოგდებას, პატარა ჯეიმსის გამეფებას და მისი რეგენტობით რეალური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას (Weir 2009: 210). „გარეშე ძალაში“ ძალიან დიდი ალბათობით ინგლისი იგულისხმებოდა, რადგან სხვა იმდროინდელი ევროპული ქვეყნის მოტივი არ იკვეთება, ელიზაბეთი კი ამ გეგმის განხორციელებით დიდ სარგებელს ნახავდა.

გულხელდაკრეფილი არც მერი იჯდა. 23 დეკემბერს მან არქიეპისკოპოს ჰემილტონს აღუდგინა კონსისტორიული იურისდიქცია, რომელიც მას საშუალებას აძლევდა გადაეწყვიტა საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციაში მყოფი საკითხები: საეკლესიო ქონების და მიწების განაწილება, ქორწინების ანულირება და ა.შ. მერი საფუძველს ამზადებდა დარნლისთან განქორწინებისთვის. ამისთვის მან შესაფერისი კანდიდატი შეარჩია, რადგან ჰემილტონების ოჯახი დარნლის ოჯახის ლენოქსების დაუძინებელი მტრები იყვნენ. ასევე უილიამ სესილის 1567 წლის 9 იანვრის ჩანაწერებში ჩანს, რომ მერიმ ოფიციალურად შეუნდო რიციოს მკვლელობაში მონაწილეებს დანაშაული და ინგლისიდან შოტლანდიაში დაბრუნების უფლება მისცა (Weir 2009: 210-211) როგორც ჩანს, მერი ემზადებოდა ლენოქსებთან და დარნლისთან შესაძლო დაპირისპირებისთვის.

კირკ ო'ფილდის ინციდენტი

ამის შემდგომ განვითარებული მოვლენები კი ბურუსით მოცული და დიდი დავის საგანია. მოულოდნელად მერიმ ტაქტიკა შეცვალა და ქმართან შემრიგებლურ პოლიტიკას დაადგა, ჩავიდა მასთან გლაზგოში და დაარწმუნა ის ედინბურგში დაბრუნებულიყო (Fraser 1984: 332) მერის მოქმედების ზუსტი მოტივი დღემდე დაუდგენელია. შესაძლებელია, რომ ის არ ენდობოდა თავის მომხრე ლორდებს და ქმრის შემრიგებლური პოლიტიკით დამორჩილება ერჩივნა მასთან კონფლიქტს. უფრო სარწმუნო ვერსიაა, რომ მერისთვის უფრო ადვილი იქნებოდა დარნლის მოკვლა ედინბურგში ვიდრე გლაზგოში და ამიტომაც ჩამოიტყუა ქმარი მისთვის უფრო ხელსაყრელ ადგილას.

დარნლი მაინც არ ენდობოდა მერის, ამიტომაც საწყის ეტაპზე გადაწყვიტა ბინა ედინბურგის შესასვლელთან, კირკ ო'ფილდის ტაძრის მიმდებარედ ერთ-ერთ სახლში დაედო, რომელიც მერის ერთ-ერთი უახლოესი მრჩევლის ჯეიმს ბალფურის ძმის რობერტ ბალფურის საკუთრებაში იყო, რომელიც მას 1566 წლის 5-10 დეკემბრის პერიოდში სწორედ მერი სტიუარტის ბრძანებით გადაეცა (Weir 2009: 200). ზემოთ მოყვანილი ფაქტი ერთ-ერთი სამხილია, რომელსაც მერის მოწინააღმდეგეები ხშირად იყენებდნენ და სრულიად საფუძვლიანადაც.

დარნლის შეეძლო ბინა დაედო იქვე ახლოს მდებარე უფრო დიდ სახლში, თუმცა გასაგები მიზეზის გამო მას ეს არ სურდა, ეს სახლი მისი ოჯახის მტერ ჯეიმს ჰემილტონს ეკუთვნოდა (Fraser 1984: 334) საკმაოდ დიდია ალბათობა, იმისა, რომ დარნლიმ საერთოდაც არ იცოდა ვის სახლში დაბინავდა და შესაბამისად მომდინარე საფრთხეს ვერც გრძნობდა.

დარნლის ცხოვრების ბოლო კვირა საუკეთესო იყო მისი და მერის ქორწინებაში. მერი ყოველდღე მოდიოდა მასთან და მთელ დღეებს მასთან ერთად ატარებდა (Fraser 1984 : 238). 9 თებერვლის საღამოს მერი ლედი მარგარეტ ბიტონთან ერთად მივიდა დარნლისთან მისი სამეფო კარის მუსიკოსის ბასტიან პაგეზის ქორწილის შემდგომ. დარნლის მსახური თომას ნელსონი შემდგომ სასამართლოებზე იგონებდა, თუ როგორ ცეკვავდა მერი და მღეროდა თითქმის მთელი ღამე (Pitcairn 1833: 500). 10 თებერვალს კი გამთენიისას კირკ ო'ფილდის მიმდებარედ დენთის წამლის დიდი აფეთქება მოხდა, რასაც ემსხვერპლა დარნლი და ყველა მისი მხლებელი. თუმცა რამდენიმე გადარჩენილი თვითმხილველი შემდგომ სასამართლოზე ჰყვებოდა, თუ როგორ დაინახეს ადამიანთა ჯგუფი, რომელიც აფეთქების შემდგომ შესამოწმებლად მოვიდა და გადარჩენილი დარნლი და რამდენიმე მსახური სახლის გარეთ დაახრჩვეს (Bain 1900: 312-313). თავიდან ოფიციალური ვერსია იყო უბედური შემთხვევა. თუმცა დარნლის მამა გრაფი ლენოქსი საჯაროდ სდებდა ბრალს ბოსველს, მორის, არჯილს, მეიტლანდს, მორტონს და თვითონ დედოფალსაც მისი შვილის წინააღმდეგ შეთქმულებაში (Fraser 1984: 344).

დარნლის მკვლელობასთან დაკავშირებით უამრავი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, თუმცა ამ მოსაზრებათა უმრავლესობას სამ მკვლელობის მთავარ

ორგანიზატორთან მივყავართ: გრაფი ბოსველი, გრაფი მორტონი და დედოფალი მერი. ბოსველის და მორტონის ბრალეულობა თითქმის დადასტურებულია. ამას ადასტურებს სხვადასხვა დროს „მეფის მოღალატურად მკვლელობისთვის“ სიკვდილით დასჯილი ბოსველის მსახურების: უილიამ პოურის, უილიამ ბლექადერის, ჯონ ჰეპბერნის, ჯონ ჰეის და ჯორჯ დალგლიშის ჩვენებები (Pitcairn 1833: 488-492). ყველა მათგანი ამტკიცებდა, რომ უბრალო თვითმხილველები იყვნენ, თუმცა შემთხვევის ადგილზე მთავარი ეჭვმიტანილის ამდენი მსახურის ყოფნა უბრალო დამთხვევა ვერ იქნებოდა. უილიამ პოურიმ ბოლო ჩვენებაში კი აღიარა, რომ დარნლის საცხოვრებელთან ახლოს დენთის წამალი მიიტანა, თუმცა არ უღიარებია მისი მკვლელობის მიზნით გამოყენება. მისი თქმით დენთის წამალი მას მეორე დღეს ედინბურგის ციხესიმაგრის არსენალში უნდა წაეღო (Pitcairn 1833: 493) განსაკუთრებით საინტერესოა მერი სტიუარტის ფრანგი მსახურის ნიკოლას ჰუბერტის, მეტსახელად „პარიზის“ ჩვენებები სასამართლოზე. „პარიზის“ ნაამბობით ბოსველი დედოფალ მერის მოსვლიდან ცოტა ხანში მოვიდა ბალფურის სახლთან უჩუმრად. ბოსველმა მოსვლის მიზეზად ჯერ ტუალეტის საჭიროება მოიმიზეზა, ხოლო შემდეგ როცა „პარიზი“ დაიმარტოხელა, მას სთხოვა სახლის და კირკ ო'ფილდის ტაძრის გასაღები, რომელიც მსახურს არ აღმოაჩნდა.შემდგომ კი მსახურის თქმით ბოსველმა მას დარნლის მკვლელობის გეგმა გაანდო. შეთქმულებით შეშინებული „პარიზი“ კი თავისივე თქმით გემზე ასვლას და ქვეყნიდან წასვლას გეგმავდა. რამდენიმე დღეში „პარიზმა“ ჩვენება შეცვალა და ამ ისტორიაში ბოსველის მაგივრად მისი მცველთა კაპიტანი ბლექადერი დაასახელა, რომელიც უკვე სიკვდილით იყო დასჯილი. თვითონ „პარიზიც“ მკვლელობაში მონაწილეობისთვის 1567 წლის 16 აგვისტოს სიკვდილით დასაჯეს (Pitcairn 1833: 502-511). ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბოსველს თავისი გეგმები უბრალო მსახურისთვის გაენდო, რაც ამ ჩვენებას დამაჯერებლობას აკლებს. მიუხედავად იმისა, რომ „პარიზის“ ჩვენებები დაძალებით თქმულს ჰგავს მისი ხშირი ცვლილებების გამო, ბოსველის დარნლის მკვლელობის ორგანიზატორობაზე სასამართლოზე კიდევ საკმაოდ ბევრი ჩვენება მიუთითებდა. მკვლელობისთვის სიკვდილით დასჯილთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობაც მისი მსახურები და ერთგული პირები იყვნენ.

დავა არ წყდება მერის ჩართულობაზე ქმრის მკვლელობაში. ნაწილი მას სრულიად უდანაშაულოდ თვლის, ნაწილი მთავარ ორგანიზატორად, ნაწილი კი შეთქმული ლორდების მხრიდან იძულების მსხვერპლად. თუმცა, მერის მკვლელობაში მონაწილეობაზე იმაზე ბევრად მეტი სამხილი არსებობს ვიდრე მის სრულიად უდანაშაულობაზე. პირველ რიგში, მას ყველაზე მეტი საბაბი ჰქონდა ქმრის მოსაკლავად: მერიმ ვერცერთ იმ მიზანს ვერ მიაღწია, რასაც დარნლისთან ქორწინებით გეგმავდა. მას ქმართან ურთიერთობა უკიდურესად დაეძაბა. დარნლი მხარს უჭერდა, აქეზებდა და თავადვე აწყობდა მის წინააღმდეგ შეთქმულებებს. ასევე მერის ქორწინება ბოსველთან 1567 წლის 15 მაისს (Weir 2009: 422) ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ მათ მოიშორეს დარნლი, რათა დაქორწინებულიყვნენ. მერის აპოლოგეტი დიპლომატი ჯეიმს მელვილი კი მემუარებში წერდა, რომ ბოსველმა თავის მომხრე ლორდებთან ერთად მერი მო-

იტაცა, გააუპატიურა და მასზე დაქორწინება აიძულა ღირსების შესანარჩუნებლად (Fraser 1984: 365-369). თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა, რადგან ბოსველს არ ჰქონდა შოტლანდიაში იმხელა მხარდაჭერა, რომ მერისთვის რამე ეიძულებინა. პირიქით, ის შოტლანდიაში კათოლიკეებსაც და პროტესტანტებსაც ერთნაირად ეზიზღებოდათ, განსაკუთრებით დარნლის სიკვდილის შემდგომ. მერის ბოსველის წინააღმდეგ რომის პაპიც კი დაუჭერდა მხარს. პროტესტანტ ბოსველთან პროტესტანტული წესით ქორწინების გამო კი რომის პაპი მერის წინააღმდეგაც განეწყო (Donaldson 1974: 118).

რაც შეეხება მერის წინააღმდეგ უმთავრეს სამხილებს: მერის ერთ-ერთი სეფექალის მადამ დე ბრაიანტის (ლედი სეტონის) ჩვენებით დარნლის სიკვდილის დილას, მან დაინახა ფარდის უკან საიდუმლოდ მოლაპარაკე მერი და გრაფი ბოსველი, როცა მან დედოფალს საუზმედ შემწვარი კვერცხი შეუტანა (Seton 1896: 128), ასევე საყურადღებო დეტალია ბოსველის მსახურის უილიამ პოურის ჩვენება, რომლის თანახმადაც, დარნლის საცხოვრებელთან დენთის წამლის მიტანის შემდგომ უკან დაბრუნებისას, ისინი გადააწყდნენ დედოფალს და მის მხლებლებს ჩირაღდნებით ხელში, რომლებიც მათ უთვალთვალებდნენ (Pitcairn 1833: 493). იმ დროს შოტლანდიაში მყოფი ინგლისელი არისტოკრატი უილიამ დრური უილიამ სესილს სწერდა, რომ მერის ერთგულმა ჯეიმს ბალფურმა თებერვლის დასაწყისში ინგლისელებისგან იყიდა დენთის წამალი და შემდგომ მისი ძმის საკუთრებაში მყოფ დარნლის საცხოვრებელ სახლთან შეინახა (Guy 2004: 291-295) თუმცა, ჯეიმს ბალფურს სრულიად შესაძლებელია, რომ დენთის წამალი ედინბურგის სასახლის არსენალისთვის შეეძინა მაგრამ დენთის ყიდვა და შემდგომ მისი მაინცდამაინც დარნლის საცხოვრებელთან განლაგება დიდ ეჭვებს იწვევს. იმდროინდელ შოტლანდიელ ისტორიკოსს ჯორჯ ბიუქანანს (1506-1582) მერის წინააღმდეგ მთავარ სამხილად მიაჩნდა დარნლის მსახური თომას ნელსონის ჩვენება, რომლის თანახმადაც მერიმ საკუთარ მსახურებს უბრძანა მისი საწოლის შეცვლა და სხვა ოთახში გადატანა, რომელსაც აფეთქება არ შეხებია (Aikman 1827: 493-494).

ყველაზე დიდ ეჭვს იწვევდა მერის მოქმედებები სასამართლოზე: ჯორჯ ბიუქანანის ნაწერებით, მერიმ მოსამართლეებად სპეციალურად თავისი მომხრეები შეარჩია, რომელთაც დარნლის მამას გრაფ ლენოქსს არ მისცეს საკმარისი დრო მეტი სამხილების მოსაპოვებლად ბოსველისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ და ისინი არასაკმარისი სამხილების წარმოდგენის გამო 12 აპრილს გაათავისუფლეს პატიმრობიდან (Weir 2009: 381-383).

„ზარდახშის წერილები“

ბოსველთან ქორწინების გამო მერის საკუთარი ლორდების დიდი ნაწილი აუჯანყდა. მათ შეძლეს მერის დამარცხება და 24 ივლისს მერი გადადგა საკუთარი ვაჟის ჯეიმს VI-ის (1567-1625) სასარგებლოდ, რომლის რეგენტიც მერის ნახევარძმა ლორდი მორი იქნებოდა (Wormald 2001: 168-169). ბოსველი კი ემიგრაციაში გაიქცა დანიაში, სადაც დააპატიმრეს და 1578 წლის 14 აპრილს გა-

რდაიცვალა (Schiern 1880: 387-388). ტყვეობიდან დროებით გაქცეული მერი კი თავის მომხრეებთან ერთად საბოლოოდ დამარცხდა 1568 წლის 13 მაისს ლანგსაიდის ბრძოლაში. მერი კი ინგლისში გაიქცა, სადაც ელიზაბეთის საპატიო ტყვედ იქცა. შოტლანდიაში კი მერის და მორის მომხრეებს შორის სამოქალაქო ომი დაიწყო (Fraser 1984: 421-423).

მერის იმედი ჰქონდა, რომ ელიზაბეთი მას დაეხმარებოდა ტახტის დაბრუნებაში, თუმცა ფრთხილმა ელიზაბეთმა სანაცვლოდ 1568 წლის ოქტომბერ-1569 წლის იანვარში გამართა სასამართლოთა სერია ჯერ იორკში შემდგომ ვესტმინსტერში, სადაც ლორდ მორის უნდა დაემტკიცებინა მერის ბრალეულობა დარნლის მკვლელობაში. მერი თავიდან უარს აცხადებდა დასწრებაზე სიამაყის გამო და მხოლოდ წარმომადგენლებს აგზავნიდა, თუმცა როცა უკვე დასწრება მოინდომა ელიზაბეთმა მას ამის უფლება აღარ მისცა (Fraser 1984: 443-450).

ლორდმა მორიმ სასამართლოს წარმოუდგინა ე.წ. „ზარდახშის წერილები“, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხია მერი სტიუარტის ბიოგრაფიაში ისტორიკოსებს შორის. „ზარდახშის წერილები“ ეწოდა ლორდი მორის მიერ წარმოდგენილ 8 სასიყვარულო წერილს და რამდენიმე სონეტს, რომელიც მერის გრაფ ბოსველისთვის მიუწერია 1567 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში, რომელიც ლორდმა მორიმ ფრანსუა II-ის მიერ მერისთვის ნაჩუქარ ზარდახშაში იპოვა და სახელიც სწორედ ამის გამო ეწოდა. გრაფი მორტონის ჩვენებით მან შეიპყრო ბოსველის მსახური ჯორჯ დალგლიში, რომლის დაკითხვების შემდგომაც მან მიაკვლია ამ წერილებს, რომლის განადგურებაც ბოსველმა ვერ მოასწრო. წერილებთან ერთად კი მიაკვლია 1567 წლის 5 აპრილით დათარიღებულ მერის და ბოსველის საქორწინო შეთანხმებასაც, ასევე წერილებსაც, სადაც მერი და ბოსველი დარნლის მკვლელობას გეგმავდნენ (Bain 1900: 558; 569-570; 730-731).

1568 წლის 14 დეკემბერს სპეციალური სასამართლო კომისიის დასკვნით „ზარდახშის წერილები“ ნამდვილად მერის დაწერილი იყო, რაც კომისიამ დაასკვნა ამ წერილების მერის სხვა წერილებთან შედარებით (Bain 1900 : 567-568). თვითონ მერი უარყოფდა ბრალდებებს და ამტკიცებდა, რომ მისი ხელმოწერის და კალიგრაფიის გაყალბება ძალიან ადვილი იქნებოდა მოღალატე ლორდებისთვის (Weir 2009: 542). ელიზაბეთის გადაწყვეტილება კი შემდეგი იყო: წერილების ავთენტურად ცნობის მიუხედავად, მისი აზრით ეს არ იყო საკმარისი სამხილი მერის დარნლის მკვლელობაში დასადანაშაულებლად. ამიტომაც მერი თავის ტყვეობაში დატოვა და არ გადასცა შოტლანდიელ ლორდებს (Fraser 1984: 450-451). ელიზაბეთის მხრიდან ეს იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება: „ზარდახშის წერილების“ ავთენტურად აღიარებით მერის რეპუტაცია შეულახა, ხოლო თვითონ მერი თავის ტყვეობაში დაიტოვა და არ დაუშვა მისი დაბრუნება შოტლანდიაში, თუნდაც პატიმრობაში.

„ზარდახშის წერილების“ სიყალბეს ემხრობიან მერი სტიუარტის აპოლოგეტი ისტორიკოსების მთელი წყება: ელისონ ვეას აზრით, მერის ხელმოწერის და კალიგრაფიის გაყალბება საკმაოდ ბევრს შეეძლო, განსაკუთრებით კი მის

მდივანს უილიამ მეიტლენდს (Weir 2009: 513), იმავეს ამტკიცებს ანტონია ფრეიზერიც. მისი აზრით მეიტლენდი ეხმარებოდა მერის წინააღმდეგ აჯანყებულ ლორდებს და სასამართლო კომისიის თავმჯდომარეს ჰერცოგ ნორფოლკს, რომლის მხრიდან წერილების ავთენტურობის დადასტურება იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და არა ობიექტური. ის მერის წერილების განადგურებას ან ყალბად ცნობას სთავაზობდა მასთან დაქორწინების სანაცვლოდ. ეს გეგმა კი ბოლოს ელიზაბეთმა ჩაშალა და ნორფოლკსაც თავისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიაღებინა. ასევე წერილების გაყალბების თანამონაწილე შეიძლებოდა ყოფილიყო მერის სეფექალი და მეიტლანდის ცოლი მერი ფლემინგი (Fraser 1984: 444-445; 470-471) ჯონ გაის აზრით კი წერილების უმეტესობა მერის საუბრის სტილთან და კალიგრაფიასთან შესაბამისობაში ვერ მოდის. ასევე წერილებში გამოყენებული სუსტი ფრანგული გრამატიკა უამრავი შეცდომით მერის სხვა წერილებს არ ახასიათებს. ამიტომაც ისინი ან მთლიანად გაყალბებულია, ან ორიგინალ წერილებს გაყალბებული წერილებიც დაუმატეს ან ეს წერილები ბოსველს სრულიად სხვამ მისწერა და არა მერიმ (Guy 2004: 400-404). თუმცა გაის მოსაზრებას ისტორიკოსთა ნაწილი არ იზიარებს. ასეთ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ის ფაქტი, რომ ორიგინალი „ზარდახშის წერილები“ შემორჩენილი არ არის და მკვლევრები იყენებენ ფრანგულ, ლათინურ და ინგლისურ ენაზე დაწერილ ასლებს (Weir 2009: 526). ამიტომაც, ისტორიკოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამტკიცებს, რომ წერილების უმეტესობა, განსაკუთრებით ბოსველისადმი მიძღვნილი სონეტები სრულიად შეესაბამება მერის წერის სტილს და კალიგრაფიასაც (Thomson 1967: 148-153; 159-167).

ორიგინალი წერილების არარსებობის გამო კალიგრაფიის და წერის სტილის ანალიზზე მეტად უფრო საყურადღებოა ორიგინალი წერილების განადგურების ისტორია: ისინი 1584 წელს გაანადგურა ჯეიმს VI-მ (1567-1625) (Wormald 2001: 180). ჯეიმს VI-ის მოქმედება ნამდვილად დიდ ეჭვებს ბადებს და კიდევ უფრო მეტად ამტკიცებს, იმას რომ წერილები ნამდვილად შეიცავდა მნიშვნელოვან სამხილებს, რაც მერის ბრალეულობას ქმრის მკვლელობაში დაადასტურებდა. თვითონ მეფე ჯეიმსისთვის და შოტლანდიის სამეფო ოჯახის რეპუტაციისთვის კი ნამდვილად არ იქნებოდა სახარბიელო მისი ერთი მშობლის მეორის მკვლელობაში ბრალეულობა. ამიტომაც წერილების სასწრაფოდ განადგურების მოტივი მას ნამდვილად ჰქონდა.

საბოლოო ჯამში, ყველა ფაქტორიდან გამომდინარე, მერი სტიუარტს ნამდვილად ჰქონდა მოტივი და საბაბი ქმრის მკვლელობაში თანამონაწილეობისთვის: მერიმ ვერ აისრულა ის მიზნები, რასაც დარნლისთან ქორწინებით გეგმავდა და დამატებით დარნლი მისი სამეფო ხელისუფლებისთვის საფრთხეც გახდა, თავისი დაუსრულებელი შეთქმულებებით და აჯანყებულ ლორდებთან კავშირით. სავსებით საფუძვლიანია მოსაზრება, რომ ბოსველმა სწორედ ეს ფაქტორები გამოიყენა მერისთვის თავის შესაყვარებლად და მისი ქმრის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობისთვის. მერის მკვლელობაში თანამონაწილეობაზე მისი ტახტიდან ჩამოგდების შემდგომ გასამართლებული ბოსველის მსახურების ჩვენებებიც მიუთითებს, თუმცა სასამართლო ოქმებიდან

საკმაოდ რთულია განსაზღვრა თვითმხილველები გულახდილ ჩვენებას აძლევდნენ სასამართლოს თუ ეს იყო მერის მოწინააღმდეგე ლორდების მიერ იძულებით გამოწვეული მერის დისკრიმინაციისთვის და მისი ტახტიდან ჩამოგდების გასამართლებლად. განსაკუთრებით დიდ ეჭვს იწვევს, მერის ქმედებები სასამართლოზე, როდესაც დარნლის მამა გრაფ ლენოქსს არ მისცა საკმარისი დრო მტკიცებულებების მოსაპოვებლად და გრაფი ბოსველი სასწრაფოდ უდანაშაულოდ ცნო. „ზარდახშის წერილების“ მტკიცებულებად გამოყენება, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ორიგინალი წერილების არარსებობის გამო. თუმცა, ნამდვილად ეჭვს იწვევს ჯეიმს VI-ის მიერ მათი სასწრაფოდ განადგურება. ნებისმიერ შემთხვევაში, კირკ ო'ფილდის ინციდენტი მერის მმართველობის „დასასრულის დასაწყისი“ გამოდგა. სწორედ დარნლის აფეთქებისა და ბოსველთან ქორწინების შემდეგ ჩამოაგდეს ის ლორდებმა ტახტიდან, ქმრის მკვლელობაში სავარაუდო თანამონაწილეობის გამო კი მას რეპუტაცია უკიდურესად შეელახა. რაც მთავარია, ელიზაბეთ I-ს მერის სავარაუდო ბრალეულობამ და „ზარდახშის წერილებმა“ საშუალება მისცეს მისი ინგლისში შინაპატიმრობაში დატოვების, რამაც მერის მმართველობა შოტლანდიაში საბოლოოდ დაასრულა.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **Aikman 1827:** Aikman James, history of Scotland by George Buchanan, vol.II, Glasgow, Blackie, Fullarton & co; 1827;
- **Bain 1900:** Bain Joseph, Calendar of the state papers relating to Scotland and Mary, Queen of Scots. 1547-1603. Vol.II, A.D. 1563-1569, Edinburgh, H.M. General register house, 1900;
- **Bingham 1995:** Bingham Caroline, Darnley: a life of Henry Stuart, Lord Darnley, consort of Mary, Queen of Scots, London, Constable and company limited, 1995;
- **Donaldson 1974:** Donaldson Gordon, Mary, Queen of Scots, London, The English Universities press Ltd., 1974;
- **Ellis 1825:** Ellis Henry, original letters, illustrative of English history, London, Harding, Triphook and Lepard, 1825;
- **Ellis 1827:** Ellis Henry: original letters, illustrative of English history, London , Harding, Triphook and Lepard, 1827;
- **Fraser 1984:** Fraser Antonia, Mary, Queen of Scots, New York, Dell publishing co, 1984;
- **Guy 2004:** Guy John Alexander, Queen of Scots: the true life of Mary Stuart, Boston, Houghton Mifflin company, 2004;
- **Pitcairn 1833:** Pitcairn Robert, Criminal trials in Scotland, from A.D.M. CCCC. LXXXVIII to A.D.M. D.C. XXIV: embracing the entire reigns of James IV and V, Mary Queen of Scots and James VI, Edinburgh, William Tait,Princess Street, 1833;
- **Rennie 2010:** Rennie James, Mary, Queen of Scots: her persecutions, sufferings and trials from her birth till her death(1826), London, Kessinger Publishing, LLC, 2010;
- **Schiern 1880:** Schiern Frederick Augustus, Life of James Hepburn, Earl of Boswell, Edinburgh, D.douglas, 1880;

- **Seton 1896:** Seton George, A history of the family of Seton during eight centuries, vol.I, Edinburgh, T. and A. Constable, 1896;
- **Thomson 1967:** Thomson George Malcolm, The crime of Mary Stuart, New York, E.P. Dutton&Co...INC, 1967;
- **Weir 2009:** Weir Alison, Mary, Queen of Scots, and the murder of Lord Darnley, New York, Ballantine Books, 2009;
- **Wormald 2001:** Wormald Jenny, Mary,Queen of Scots: politics,passion and a kingdom lost, London, Tauris Parke Paperbacks, 2001.

Sergi Adamia
BA Program in History, TSU

MARY STUART AND THE KIRK O'FIELD INCIDENT (SUMMARY)

The Kirk O'Field incident of February 10, 1567 is one of the most mysterious cases not only in Modern but also in the world History. On this day, several buildings and houses near Kirk O'Field church were blown up with gunpowder, which killed Henry Stuart, the second husband of Mary Stuart, Queen of Scots (1542-1587). He is known in history as Lord Darnley (1546-1567).

Mary Stuart's reign in Scotland was marked by infighting, murders and intrigues at the royal court. Many aristocrats rebelled against catholic Mary because of her counter-reformation policies. Lord Darnley was actively involved in the intrigues of royal court, even against his own wife in a number of cases.

After Darnley's suspicious death, there have obviously been many opinions, speculations and conspiracy theories. Some saw it as a mere incident, but to most contemporaries it was a well-planned murder. According to the most common version, the organizer of Darnley's murder was his opponent, the influential aristocrat James Hepburn, known in history as Earl of Boswell (1534-1578). Within months of Darnley's death, Boswell married Mary Stuart, so many assumed that they got rid of Darnley together to get married. Boswell himself was acquitted at the court, but instead 6 of his servants were sentenced to death later. Talk and discussion about Mary's guilt and participation in the murder of his own husband never stopped.

In this article we will try to look into Mary Stuart's relationship with Lord Darnley and its change over time. We will also outline the factors, that could have caused Mary's participation in the murder of her husband, as well as the reasons and evidences for which Mary is accused of participating in the murder.